

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის I ტური


I ვარიანტი

ტესტი და შეფასების სქემა

1. რომელი ნიშანი არ არის დამახასიათებელი კაპიტალიზმისთვის?

- კოლექტიური მიზნებისკენ სწრაფვა

2. რას ასახავს ილუსტრაციაზე ნაჩვენები რუკა?



- რელიგიის გეოგრაფიას

3. რა ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავს სოციალურ გავლენასა და მნიშვნელობას?

- სეკულარიზაცია

4. რომელი ციტატა შეესაბამება ყველაზე მეტად მოცემულ ნაწყვეტს? განათლება უფრო მეტია, ვიდრე კითხვის, წერის ან დათვლის სწავლა. თვითონ სიტყვას „Educatio („განათლება“) ლათინური საფუძველი აქვს და ნიშნავს „ვინმეს გაძღოლას“. ადამიანის განათლების უფლება მოიცავს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას. უამრავი ადამიანი მოკლებულია დაწყებით განათლებასაც კი, ამიტომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით სახელმწიფო უზრუნველყოფს სახელმწიფო ენაზე უფასო დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას და სავალდებულოობას.

- „...განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაზრდისკენ...“

## 5. ადამიანის უფლებები

I. ხელშეუხებელია და განუყოფელი, არ შეიძლება მისი დაკარგვა.

II. უნივერსალურია, რამდენადაც ნებისმიერ წერტილში ადამიანს ეს უფლებები თან აქვს.

რომელია მართებული მსჯელობა?

- I და II

6. თქვენი აზრით, რა განსხვავებაა უფლებასა და თავისუფლებას შორის?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

7. რა არის გენდერი? ხდება თუ არა საზოგადოებაში გენდერული როლების დიფერენციაცია?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

8. ვინ და როგორ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები საზოგადოებაში?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

9. რა განსხვავებაა სტიგმასა და სტერეოტიპს შორის?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

10. რა ფუნქცია აქვს კონსტიტუციას დამოუკიდებელ სახელმწიფოში?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

11. ესე. დავალების მაქსიმალური ქულაა 15.

**წაკითხეთ ჯონ ლოკის მოცემული ფრაზა, კარგად გააანალიზეთ რა იგულისხმება მასში, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება და ხედვა მოცემული საკითხისადმი. „არის რა ბუნებითად თავისუფალი, თანასწორი და დამოუკიდებელი, არც ერთი ადამიანი არ შეიძლება დაექვემდებაროს სხვის პოლიტიკურ ძალაუფლებას საკუთარი თანხმობის გარეშე“**

- ესეს შეფასების კრიტერიუმები
- ესეს შინაარსის გაგება, დავალება პასუხობს სათაურს - მაქსიმალური ქულა: 5
- მსჯელობა არგუმენტირებულია და გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით - მაქსიმალური ქულა: 5
- ესე ორიგინალურია, ესეში სჩანს ავტორის ზოგადი განათლება, მისი დამოკიდებულება კონკრეტული საკითხის მიმართ - მაქსიმალური ქულა: 5

## II ვარიანტი


### ტესტი და შეფასების სქემა

#### 1. რომელი ნიშანია დამახასიათებელი დემოკრატიისთვის? \*

სწორი პასუხი: (3 პასუხიდან ნებისმიერის მონიშვნის შემთხვევაში დაიწერება 1 ქულა)

- ანგარიშვალდებული ხელისუფლება
- სამოქალაქო კლუბები და სამოქალაქო საზოგადოებები
- ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

2. ილუსტრაციაზე დალაგებულია განათლების ხელმისაწვდომობით ქვეყნები, კონკრეტული ფერი ხელმისაწვდომობის ხარისხს აღნიშნავს. რომელი მსჯელობა არ არის მართებული რუკის მიხედვით?



სწორი პასუხი: თურქეთსა და მექსიკაში განათლების ხელმისაწვდომობა უფრო თანაბარია ვიდრე სკანდინავიის ქვეყნებში

3. რა ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები იძენს სოციალურ გავლენასა და მნიშვნელობას?

- კლერიკალიზაცია

4. რომელ სახელმწიფოს არ აქვს დაწერილი კონსტიტუცია?

- დიდ ბრიტანეთს

5. რომელია მართებული მსჯელობა?

I. გენდერსა და სქესს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს

II. გენდერი ბიოლოგიურ სქესს გულისხმობს

- არც ერთი

6. რა განსხვავებაა ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

7. რას გულისხმობს წარმომადგენლობითი დემოკრატია? სად იყო გავრცელებული დემოკრატიის ეს ტიპი?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

8. თქვენი აზრით, არის თუ არა ადამიანის უფლებები აბსოლუტური?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

9. რა განსხვავებაა თავისუფლებასა და თანასწორობას შორის?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

10. რა ფუნქცია აქვს მედიას პოლიტიკური სისტემების მართვის პროცესში?

- ნებისმიერი ლოგიკური, მართებული პასუხი ჩაითვლება 2 ქულად.

11. ესე

დავალების მაქსიმალური ქულაა 15.

წაიკითხეთ თომას ჯეფერსონის მოცემული ფრაზა, კარგად გააანალიზეთ რა იგულისხმება მასში, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება და ხედვა მოცემული საკითხისადმი.

„დემოკრატია ვერ იარსებებს, თუ მასში დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები არ იცხოვრებენ“

- ესეს შეფასების კრიტერიუმები
- ესეს შინაარსის გაგება, დავალება პასუხობს სათაურს - მაქსიმალური ქულა: 5
- მსჯელობა არგუმენტირებულია და გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით - მაქსიმალური ქულა: 5
- ესე ორიგინალურია, ესეში სჩანს ავტორის ზოგადი განათლება, მისი დამოკიდებულება კონკრეტული საკითხის მიმართ - მაქსიმალური ქულა: 5